ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4613416

ნომერი: AR1695213

თარიღი : 17.07.2019

გაცემის თარიღი : 31.07.2019

გაცნობის თარიღი : 01.08.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი ციმაკურიძე პ/ნ 01011076949
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სახელოსნო (სამკერვალო, სამხატვრო, სამჭედლო და სხვა)

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ზოგად საცხოვრებელ ზონაში (სზ) – საცხოვრებელი ზონა (სზ) — მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების ტერიტორიებს.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების შესაბამისად, თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქციით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება (საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები) მოქცეულია ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობაში, რომლებიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.
აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ მოხდეს თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქციით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე მსჯელობა საჭიროა საკითხი დააყენოთ მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭების კუთხით ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ოფიციალური საქმისწარმოების საიტზე Urban.gov.ge.
ამასთან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხზე მსჯელობისთვის პირველ რიგში აუცილებელია ნაკვეთს გააჩნდეს მისასვლელი გზა.
მაშასადამე, არქიტექტურის სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.